# ხელშეკრულება №08/10

ქ.ონი 29 ოქტომბერი 2018 წელი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ. ონში დავით აღმაშენებლის ქუჩა №40, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ემზარ საბანაძი სახით, ხოლო მეორეს მხრივ შპს "ფასისი", მისი დირექტორის გოჩა ტყეშელაშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი) საქ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-$10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე (SMP180002097):

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს, ონის მუნიციპალიტეტის მერის 17/10/2018 წლის №1996 ბრძანების საფუძველზე, სოფელ სევაში "ლუაღრმა" წყაროს სათავეზე წყალშემკრების და ქსელის მოწყობის დარჩენილი სამუშაოები (დანაყოფის კოდი – 45232100)

1.2. შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ხელშეკრულების მე-5, მე-6 და მე-7 მუხლის შესაბამისად.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფი ტექნიკური ზედამხედველთან ერთად ამოწმებს შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, მათ ხარისხს, რის შესახებაც ადგენს აქტს.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

2.3 ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას გაუწევს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური.

## 3. სამუშაოს შესრულების პირობები

33.1 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადების დღიდან **30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;**

3.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 1 იანვრამდე.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც გაცემული იქნება შექმნილი ჯგუფის მიერ შედგენილი აქტისა და ზედამხედველის დასკვნის საფუძველზე;

4.2 შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. (10 დღის ვადაში);

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარისსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით - გადარიცხვით, შესრულებული სამუშაოს შესახებ მოთხოვნის, ანგარიშფაქტურის, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

5.3 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;

5.4 ანგარიშსწორების მომენტისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება – ტექნიკური რეგლამენტის – "სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის" დამტკიცების შესახებ.

## 6. ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

## 7.სახელშეკრულებო ღირებულება

7.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **5148,34 (ხუთი ათას ასორმოცდარვა ლარი და 34 თეთრი) ლარს.**

## 8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 10.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02 პროცენტი. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

12.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

12.3. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი მონაცემები აღმოჩნდება ყალბი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაო.

## 13.ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 14.სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონების მიხედვით.

## 15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

### 16. შეტყობინება

*16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.*

*16.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.*

### 17. გადასახადები და დაბეგვრა

*17.1 მიწოდებული პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.*

რეკვიზიტები

*დამკვეთი:*
*ონის მუნიციპალიტეტი:*

------------------------------
*/ემზარ საბანაძე/*

ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1
ტელ.: 599 5040000

ს/კ №237978275
ანგ №GE24NB0330100165022
სახელმწიფო ხაზინა ბ.კ. TRESGE22

*შემსრულებელი:*

*შპს "ფასისი":*

------------------------------
*/გოჩა [illegible]შვილი/*

ონი, სოფ. ჭალა
ტელ.: 577 308598

ს/კ 437977968
ანგ. №GE36BG0000000723024000
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ბ.კ. BAGAGE22

## ხელწერილი
## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ონი

29 ოქტომბერი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ რომ, სოფელ სევის წყალსადენი სისტემის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ონის მუნიციპალიტეტის მერია

შპს „ფასისი“

ვამტკიცებ: ონის მუნიციპალიტეტის მერი ემზარ საბანაძე

სოფელ სევაში "ლუაღმა" წყაროს სათავეზე წყალმიმღების დამჭერის მოწყობის დარჩენილი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

ონი

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მექ.საათი | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| | სოფელი სევა | X | X | | X | X | X | X | X | X | X |
| 1 | გრუნტის დამუშავება ხელით წყალშემკრებიდან სამარაგო რეზერვუარამდე დ=32მმ-იანი მილის ჩასადებად 30*30სმ. | გრძ.მ. | 113 | | 0 | 0 | 2 | 226 | 0 | 0 | 226 |
| 2 | დ32 მმ-იანიწყალსადენის მილის მონტაჟი (PE=100) PN-10 32*2.0 | გრძ.მ. | 111 | | 1.19 | 132.09 | 0.3 | 33.3 | 0 | 0 | 165.39 |
| 3 | გაფხვიერებული გრუნტის უკუ მიყრა ხელით | $მ^3$ | 8 | | 0 | 0 | 4 | 32 | 0 | 0 | 32 |
| 4 | შემკრებების დახურვა 35*35 მმ კუთხოვანში ჩასმული ფოლადის ფურცლით სისქ 2მმ | $მ^2$ | 1.5 | | 40 | 60 | 20 | 30 | 0 | 0 | 90 |
| 5 | სოფლის თავში 2მ3 პლასმასის სამარაგო რეზერვუარის მონტაჟი. | ცალი | 1 | | 352 | 352 | 50 | 50 | 0 | 0 | 402 |
| 6 | გრუნტის დამუშავება ხელით სამარაგო რეზერვუარიდან ორი მიმართულებით დ=25მმ-იანი მილის ჩასადებად ( PE=100) PN-12.5 25*2.0 სიღრმით 30*30სმ. | გრძ.მ. | 800 | | 0 | 0 | 2 | 1600 | 0 | 0 | 1600 |
| 7 | დ=25 მმ-იანი მილის მონტაჟი | გრძ.მ. | 800 | | 0.93 | 744 | 0.2 | 160 | 0 | 0 | 904 |
| 8 | გაფხვიერებული გრუნტის უკუ მიყრა ხელით | $მ^3$ | 72 | | 0 | 0 | 4 | 288 | 0 | 0 | 288 |
| 9 | მასალების ტრანსპორტირება | რეისი | 1 | | | 0 | | 0 | 250 | 250 | 250 |
| | ჯამი | | | | | 1288.09 | | 2419.3 | | 250 | 3957.39 |
| | ზედნადები ხარჯები | 5% | | | | | | | | | |
| | ჯამი | | | | | | | | | | 197.9 |
| | | | | | | | | | | | 4155.3 |
| | გეგმიური დაგროვება | 5% | | | | | | | | | 207.8 |
| | ჯამი | | | | | | | | | | 4363.0 |

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თ.გრძლიშვილი

ღღვ 785,34 ₾

5148,34 ₾

## ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესახებ

| N | თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების მოქმედების ვადები | სახელშეკრულებო ღირებულება | ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება | სატენდერო განცხადების ნომერი (არსებობის შემთხვევაში) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გადამში წყალაშემკრების და ქსელის მოწყობის სამუშაოები | ონის მუნიციპალიტეტის მერია | 31.05.2018 - 30.08.2018 | 13853.2 | 13853.2 | NAT180006117 | | |
| 2 | ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარში სულაძეების და მაგრაქველიძეების უბანში წყალშემკრების და წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები | ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 15.11.2017 - 30.01.2018 | 7463.5 | 7463.5 | NAT170011570 | | |
| 3 | ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ნაკიეთში, ჭაშქვაში და ზემო ბარში არსებული წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. | ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა | 06.12.2016 - 01.06.2017 | 14771.24 | 14771.24 | NAT160002920 | | |
| | ჯამი | | | 36087.94 | 36087.94 | | | |

შპს ფასისი

დირექტორი: გოჩა ტყეშელაშვილი

03,09,2018

**სახელმწიფო შესყიდვების**
**სააგენტოს თავმჯდომარის**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 1996
17/10/2018

KA080146250590718

№ 2440

24 / ოქტომბერი / 2018 წ.

## ონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

### აღწერილობითი ნაწილი

**1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 18 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ონის მუნიციპალიტეტის მერიის SMP180002097 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

**2. შესყიდვის ობიექტი**

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სევას სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები შესყიდვას (45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები; 45232100 - დამხმარე სამუშაოები წყალსადენი მილებისათვის).

**3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება**

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული NAT180007949 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ი/მ „დავით ქვათაძეს" 2018 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N071/06 ხელშეკრულებით უნდა შეესრულებინა სოფელ სევასა და სოფელ ქვედში სასმელი წლის სისტემის სამუშაოები. მეწარმეს მხოლოდ სოფელ სევაში აქვს შესრულებული სამუშაოების მცირე ნაწილი. ვინაიდან სოფელ სევას შეზღუდული აქვს წყლის მიწოდება და დღეის მდგომარეობით დაწყებულია სამუშაოები, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიმატის მკაცრი პირობების გამო შეუძლებელი გახდება სამუშაოს შესრულება, შეიქმნება მოსახლეობის წყლით მომარაგების შეწყვეტის საფრთხე და შესრულებული სამუშაოს ხელმეორედ გაკეთების საშიშროება.

**4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება**

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

### სამოტივაციო ნაწილი

**5. შემაჯამებელი დასკვნა**

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებსა და

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული NAT180007949 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ი/მ „დავით ქვათაძეს“ 2018 წლის 22 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N071/06 ხელშეკრულებით უნდა შეესრულებინა სოფელ სევასა და სოფელ ქვედში სასმელი წლის სისტემის სამუშაოები. მეწარმეს მხოლოდ სოფელ სევაში აქვს შესრულებული სამუშაოების მცირე ნაწილი. ვინაიდან სოფელ სევას შეზღუდული აქვს წყლის მიწოდება და დღეის მდგომარეობით დაწყებულია სამუშაოები, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიმატის მკაცრი პირობების გამო შეუძლებელი გახდება სამუშაოს შესრულება, შეიქმნება მოსახლეობის წყლით მომარაგების შეწყვეტის საფრთხე და შესრულებული სამუშაოს ხელმეორედ გაკეთების საშიშროება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ონის მუნიციპალიტეტის მერიის SMP180002097 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე | ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად | ლევან რაზმაძე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

KA080161560844818

საქართველო, ქ. თბილისი 0113, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8 / 8 Richard Holbrooke str., Tbilisi 0113, Georgia
www.procurement.gov.ge ✉ info@procurement.gov.ge ☎ +995 32 2 242 248

№ 3673

23 / ოქტომბერი / 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის მერია

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 18 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა თქვენი SMP180002097 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, გთხოვთ, ერთი სამუშაო დღის ვადაში დააზუსტოთ სისტემის SMP მოდულში გენერირებული კითხვარის მე-10 ველში წარმოდგენილი ინფორმაცია, კერძოდ, განმარტეთ როდის დადგა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და რა ღონისძიებები იქნა გატარებული თქვენ მიერ ვითარების დადგომის შემდგომ, სააგენტოში მომართვის წარდგენამდე.

გთხოვთ, წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის დაზუსტების შემდგომ, მომართვას მიანიჭოთ შესაბამისი სტატუსი.

პატივისცემით,

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე

| | |
|---|---|
| მიმწოდებელი | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) **შპს ფასისი** shps pasisi |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 437977968 |
| ქვეყანა | საქართველო |
| ქალაქი/დაბა/სოფელი | ონი |
| მისამართი | სოფ.ჭალა |
| ტელეფონი | +995577308598 |
| ფაქსი | +995 |
| ელ-ფოსტა | gocha.tkeshelashvili@gmail.com |
| ვებ-გვერდი | http:// |
| ხელმძღვანელის სახელი, გვარი | გოჩა ტყეშელაშვილი |
| ხელმძღვანელის თანამდებობა | დირექტორი |
| მომსახურე ბანკი | საქართველოს ბანკი |
| მომსახურე ბანკის კოდი | BAGAGE22 |
| ანგარიშის ნომერი | GE36BG0000000723024000 |